სასკოლო გამოწვევების გადაჭრა მშობელთა ჩართულობით

ავტორი მეგი კავთუაშვილი

სკოლასა და ოჯახს შორის გაუგებრობის მიზეზი ხშირად ხდება ესა თუ ის სასკოლო გამოწვევა, რომელიც შესაძლოა გვეჩვენებოდეს, რომ ადვილი მოსაგვარებელი არ არის, ან ჩვენს კომპეტენციას სცილდება. ნებისმიერ შემთხვევაში, როცა საქმე მოსწავლეს ეხება, მნიშვნელოვანია მშობელსა და სკოლის თანამშრომლებს შორის უწყვეტი დიალოგი შედგეს. ეს დიალოგი კი იმაზე ბევრად ადრე უნდა დაიწყოს, ვიდრე პრობლემა გაჩნდება.

გამჭვირვალედ, ტაქტიანად, ღიად საუბარი, მშობლების აღჭურვა მათი უფლებების და მოვალეობების შესახებ ცოდნით, მომავალში გაჩენილი სასკოლო პრობლემების დაჩქარებულად გადაჭრას შეუწყობს ხელს.

სასკოლო გამოწვევების გადაჭრისთვის მნიშვნელოვანია სკოლის მიერ მშობლების სწორად ინფორმირებულობა.

სკოლა მშობელს რეგულარულად უნდა აცნობდეს რეალურ სასკოლო მდგომარეობას, შესაძლო გამოწვევებს და მათი ერთობლივად გადაჭრის გზებს. ეს მშობელს სწორი მოლოდინის შექმნაში და მართებული მოქმედების დაგეგმვაში ეხმარება, რაც მისი მხრიდან, მომავალში გაჩენილ პრობლემაზე ადექვატური რეაგირების წინაპირობაა. როდესაც მშობელს პრობლემების შესახებ ინფორმაციას დაგვიანებით აწვდიან, მაშინ, როცა ეს გამოწვევა უკვე დაუძლეველ ბარიერად არის ქცეული, ცხადია, აქ მშობელს ნაკლები ბერკეტი აქვს, დაეხმაროს შვილს ან მასწავლებელს. როგორც წესი, ასეთი შემთხვევები კონფლიქტით ან ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანით სრულდება.

სასკოლო გამოწვევების გადაჭრისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია მშობლებსა და სკოლას შორის ნდობის არსებობა და პასუხისმგებლობის განაწილება.

მშობელი იმ შემთხვევაში ენდობა სკოლას, როცა ხედავს, რომ შიდასასკოლო საზოგადოება, ერთის მხრივ, მზადყოფნით, მაღალი პროფესიული კომპეტენციით ხვდება არასასურველ მოცემულობას, მეორე მხრივ, განიცდის გამოწვევის არსებობას და ძალისხმევას არ იშურებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად. მათ შორის, მარტო კი არ ცდილობს გამოასწოროს სიტუაცია, არამედ პასუხისმგებლობას უნაწილებს მოსწავლის ოჯახს და არ ზღუდავს მოქმედებაში. მშობლები თავადაც თავისუფლად მოქმედებენ კანონის ფარგლებში და არ ეშიანიათ, რომ ამის გამო დამატებითი პრობლემები შეექმნება მათ შვილს.

მშობლების და მასწავლებლების საერთო მიზნის გარშემო გაერთიანება მოსწავლეების დახმარების საუკეთესო გზაა. ორივე რგოლი, ოჯახიც და სკოლაც, თანაბრად უნდა იყოს დაინტერესებული, გააუმჯობესოს სასკოლო გარემო.

ყოველდღიური სასკოლო პრობლემების დიდი ნაწილი ტიპურია. ხშირად იჩენს თავს. ეს ტიპურობა სკოლას შესაძლებლობას აძლევს, დაამუშაოს ამა თუ იმ პრობლემის პრევენციის და რეაგირების მექანიზმები.

განვიხილოთ სკოლაში წამოჭრილი ტიპური პრობლემები და ვნახოთ, როგორ ცდილობენ მათ გადაჭრას განვითარებული ქვეყნების სკოლები მშობლებთან ერთად.

მაგალითად ავიღოთ ფართოდ გავრცელებული სასკოლო პრობლემა – ჩაგვრა, იგივე "ბულინგი"

- ნორვეგიაში Olweus Bullying Prevention Program-ში მშობლების ჩართვა სავალდებულოა, რათა მათ უკეთ გაიგონ ბულინგის არსი, მისი პრევენციისთვის საჭირო ნაბიჯები და რეაგირების გზებიც. სკოლას უწევს ჩაატაროს საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან. ამისთვის გამოყოს დრო, ადამიანური რესურსი. თუმცა მომავალში ეს ეხმარება, რომ ჰყავდეს ინფორმირებული მშობლები, რომლებიც კრიზისულ მომენტებს აარიდებენ და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარებიან გამოწვევების გადაჭრაში.
- კანადაშიც მოქმედებს მედიაციის პროგრამები, რომლებიც მოიცავს მშობელთა ტრენინგებს, რათა მათ შეძლონ ბავშვების მხარდაჭერა კონფლიქტის დროს. დროულად აღმოაჩინონ და ჩაერიონ, ვიდრე მდგომარეობა გართულდება.

როგორც ვნახეთ, განვითარებულ ქვეყნებში სკოლებში არა მხოლოდ მასწავლებლებს ამზადებენ "ბულინგის" მოსალოდნელი შემთხვევების შესახებ, არამედ მშობლებსაც. ეს იმისთვის, რომ ჩაგვრის შემთხვევები არ მოხდეს, ან თუ მაინც იჩინა თავი, სკოლასაც და ოჯახსაც ადექვატური რეაგირება ჰქონდეთ.

განვიხილოთ კიდევ ერთი სასკოლო გამოწვევა, მოსწავლეთა ქცევითი პრობლემები, რომელიც ხშირად მშობლებსა და მასწავლებლებს შორის გაუგებრობის საგანი ხდება.

- შვედეთის სკოლებში მშობლები მონაწილეობენ „სოციალური და ემოციური სწავლების" პროგრამებში, რაც ბავშვების ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას ეხმარება. ცხადია, ეს სკოლის მიერ არის ორგანიზებული.
- საფრანგეთში მშობლები მონაწილეობენ „კონფლიქტების მედიაციის" პროგრამებში და ბავშვებს კონფლიქტების მშვიდობიანად გადაჭრაში ეხმარებიან. ეს პროგრამაც სკოლის ინიციატივითა და მხარდაჭერით მიმდინარეობს.
- გერმანიაში, კერძოდ ბერლინში, არსებობს დათქმა, რომ პრობლემის განხილვა დაუშვებელია საკლასო ოთახის კართან ან დერეფანში. ბავშვის პრობლემური ქცევის შემთხვევაში, სკოლა დაუყოვნებლივ უკავშირდება მშობლებს და მათთან ათანხმებს თანმდევ ღონისძიებებს. სკოლა და მშობელი ვალდებულნი არიან პირისპირ კომუნიკაციით გადაჭრან პრობლემა და არ გახდეს ის საყოველთაო განხილვის საგანი. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, ამ შემთხვევაში საკითხი გაფართოებულ შეხვედრაზე გადის. გაფართოებულ შეხვედრას ადმინისტრაცია და კლასის წარმომადგენელი რამდენიმე მშობელი ესწრება, რომელთაც მედიატორის როლი აქვთ და ტაქტიანად გამოხატავენ საკუთარ პოზიციას. ამავე დროს, ვალდებულება აქვთ კონფიდენციალურად დატოვონ განხილული საკითხის შინაარსი.

როგორც ვხედავთ, მოწინავე ქვეყნებშიც კი სკოლა დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება ყოველდღიურ გამოწვევებს და პრობლემის თავიდან ასაცილებლად მშობლებთან აქტიურად თანაშრომლობს. ეს თანამშრომლობა კი იწყება არა მაშინ, როცა პრობლემა ჩნდება, არამედ ბევრად უფრო ადრე, მაშინ, როცა მოსწავლის მშობელთან თანამშრომლობა იწყება.